

ს ა ბ ჯ ო ტ ა ქ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ ლ ე ნ უ მ ი ს უ ე ს ა ხ ე მ



1970 წლის 7 დეკემბერს გაიმართა სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ბ. ბაიბაპოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების

1971 წლის სახელმწიფო გეგმა“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. ბ. ბარბუხოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა მოიწვიოს 1971 წლის 30 მარტს.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ა. ბ. ბრამიანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ს კ კ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ ლ ე ნ უ მ ი ს და დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა ს კ კ კ X X I V ყ რ ი ლ ო ბ ა მ ო წ ვ ე მ ი ს თ ა რ ი ლ ი ს უ ე ს ა ხ ე მ მ ო ნ ე უ ლ ი ქ ნ ა ს ს ა ბ ჯ ო ტ ა ქ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს მ ო რ ი ბ ი X X I V ყ რ ი ლ ო ბ ა 1971 წ ლ ი ს 30 მ ა რ ტ ს

გ ა უ შ ი ნ
კ რ ა მ ლ შ ი
მ უ შ ა ო ბ ა ს უ მ უ დ ბ ა
ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს
მ ი რ ვ ე
მ ო წ ვ ე მ ი ს
უ მ ა ლ ლ ე ს ი
ს ა ბ ჯ ო ს
მ ი ო რ მ ს ე ს ი ა

პროლეტარებო ყველა შრომინო, შეერთდით!




№ 240
(4234)

1970 წ.

დაკავშირებული
მოსახლათი.
შასი • კაპ.

3 ავთი გამოცემა
1984 წლის
18 აპრილიდან

მ ნ ი უ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი
ც ა რ მ ა ტ ე ბ ა



დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპორტული თამაშები. ამ საინტერესო ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში საბატიო მესამე ადგილი, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტისა და საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი თასი და დიპლომი მოიხვეჭეს. „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა სპორტსაშოგადობა „კოლმეურნის“ ცენტრალური სამჭოს თავმჯდომარეს ვ. ჭლენტს და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.

● საქართველოს სოფლის სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ამ თამაშებში — რუსეთისა და უკრაინის ნაკრები გუნდების შემდეგ მესამე საპრიზო ადგილი დაიპყრეს. დაგეგმილი გქონდათ თუ არა ამ მაღალ ადგილზე გასვლა თუ უფრო მოკრძალებული შედეგის მიღწევას ვარაუდობდით?

— მესამე საპრიზო ადგილის დასაკურთხება ვათვალისწინებელი გეგმონდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ესტონეთის ძლიერ გუნდთან მოგვიწევდა დიდი ბრძოლა. ანგარიშში ჩასაგდები იყვნენ ბელორუსიისა და ლატვიის ნაკრები გუნდებიც, რომლებმაც ამ ბოლო წლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ეს თრი უანასკენი კოლექტივი დიდი სხვაობით ჩამოვიტოვეთ, ესტონეთს კი 4 საჯარიმო ქულით გავუწარიო.

● ვინ შეიტანა უფრო მეტი წვლილი საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატებაში?

— ნაკრები გუნდის თითქმის ყველა წევრმა. გზავაწილეს ძალისხმევა, თავიანთ შესაძლებლობებზე დაბალ

შედეგები აჩვენეს მძლეობაში, გელომობილულებმა. ქებით მინდა მოვისწინოთ თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ფრენბურთელი ვაჭები, რომელთაც პირველობა არავის დაუთმეს. თავი გამოიჩინეს ცხენოსნებმა და სეზურთელებმა. მათ მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს და საკმაო ქულები შეაძინეს ჩვენს კოლექტივს. ცალკეული სპორტსმენებიდან აღნიშნის ღირსნი არიან მოჭიდავეები თ. კანდელაკი, ა. ცხოვრებოვი, გ. გიორგაძე, გ. ნიპარიშვილი, რ. დობოჯანიძე, მ. ძინიჭარიშვილი, გ. გუბაძე, რ. შორჩილაძე, ი. სომეხიკი, ცხენოსნები — გ. მარეიკო, ნ. ლაპაშია, დ. მაღალია, თ. ჯაფარიძე, მძლეოსნები უ. ალხანაძე, ც. ლიპარტილიანი, გ. ტარანი, მ. თათოხიანი, ც. ჯაფარიძე, ლ. აროშიძე, მოჭიდავე ლ. კოროშინაძე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ძალოსანი ა. ჯეჯელავა, რომელმაც თავის წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა და მაღალი შედეგი აჩვენა. წლებადელ შეჯიბრებაში „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა მოიხვეჭეს 15 ოქროს, 20 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი. ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა ი. ჩხარტიშვილმა, ჯ. ქვირიამ, ა. თევოსიანმა, რ. კორძაიამ, შ. წერეთელმა, თ. ანათაძემ.

● რამ განაპირობა თქვენი საზოგადოების ასეთი მნიშვნელოვანი წარმატება საკავშირო პირველობაში?

— პირველ ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ სანებში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად ფიზკულტურისა და სპორტისადმი სიყვარული. წინათ ჩამორჩენილმა რაიონებმაც კი შეძლეს თავის გამოჩენა. წარმატებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ამ ბოლო წლებში სოფლებსა თუ რაიონულ ცენტრებში მშენდა ბევრი სპორტული ბაზა, სადაც საბუნაგან თავისუფალ საა-

თებში ასალგაზრდები ვარჯიშობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ნაკრები გუნდის მომზადებაში დიდი დახმარება გავეციეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა. ჩვენს წარმატებას, ამას გარდა, ხელი შეუწყო სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურმა თამაშებმა, რომლის პროგრამაში სპორტის 12 სახეობა შედიოდა. საერთოდ, რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებში 250 ათასზე მეტი სოფლის სპორტსმენი მონაწილეობდა და არჩევანი საქმოდ მდიდარი გაქონდა.

● რესპუბლიკის რომელმა ქალაქებმა და რაიონებმა უფრო მეტი წვლილი შეიტანეს თქვენი საზოგადოების ამ წარმატებაში?

— კარგად იმუშავეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო სამჭობებმა, მახარაძის, შუგლიდის, კასპის, საგარეჯოს, ცხაპაის, მცხეთის, გარდაბნის რაისანჭობებმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და სხვა ორგანიზაციებმა.

● თქვენი საზოგადოების მომავალი გეგმების შესახებ რას გეპყვიან?

— გეგმები დიდი გვაქვს. მათგან მთავარია სსრ კავშირის ხალხთა V სპორტაქიადა. გვინდა საქართველოს სპორტულ დელეგაციაში რაც შეიძლება მეტი კოლმეურნე სპორტსმენი შევიდეს. ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. ამას გარდა, უნდა ვიზრუნოთ, რომ რესპუბლიკის არც ერთი პატარა სოფელიც კი არ დარჩეს სპორტული ბაზების გარეშე, რომ ყოველ ასალგაზრდას ფიზიკური წრთობისა და სპორტული დასტატების ყველა პირობა ჰქონდეს.

ს ლ რ ა თ ე: საქართველოს სოფლის სპორტსმენთა მიერ ბოლო საკავშირო თამაშებში მოხვეცილი ქილოდები, გ. ზარგარიანის ფოტო.

...სელოფასი კი იხსნება

პიონერთა სასახლეში ჩატარდა ახალგაზრდა მხატვრულ ტანოვარჯიშეთა საქალაქო პირველობა. დაწესებული იყო სპეციალური პრიზი — კომპოზიციური საქალაქო კომიტეტის ჯილდო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 10-დან 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები. სარბიულზე გამოვიდა 45 გოგონა, აგრეთვე, პიატიკორსიდან ჩამოსული სამი სტუდენტი — სამი ტანია.

ჯერ სტუდენტზე ვთქვათ ორიოდვე ხიტყვა. მოყვით, ბოლოვდა და ლინჩენო თვითმფრინავიდან პირდაპირ სარბიულზე მოვიდნენ და საბივებ მო-

კი ნორჩ სპორტსმენს ბევრ რამეს ავალებს, თუნდაც იმიტომ, რომ ამავე სასახლეშივე წევრია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ტანოვარჯიშე, 12 წლის ნინა დრონივა. ნოვიკაია დამაჯერებლად ოსტატურად ახარჯობს. მან ყველას აჯობა პირველ-თანრიგისნებს შორის — 44,65 ქულა. აქ კარგად გამოვიდა 23-ე სკოლის მოსწავლე თ. მიქაძე. 22 მეტრზე აჯობა კალინინის რაიონის წარმომადგენელს ა. ბაშირაშვილს და ყველა დამარცხდა. იგი უძლიერესი იყო მეორეთანრიგისნებს შორის — 33,75 ქულა. 11-11 ადგილებზე არიან მისი თანაგუნდელები კ. ჩიჩუა და ა. კნიაზევა (33,5 და 33,25).

ერთი შეჯიბრების გამო

ნობლა მაყურებლები. შემდეგ ვარჯიში დაიწყო ფიზიკულურის ინსტიტუტის პირველკურსელმა მანანა კერესელიძემ. მანანამ რისკი გასწია — სპორტის ოსტატთა ახალი პროგრამით გამოვიდა. რისკმა გააძარცვა: სპორტსმენს „ვერტიკალი“ სახტუნელა კი ემორჩილებოდა. მანანამ 45,35 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. სხვათა შორის, მანანა კერესელიძე „ბურვესტნიკის“ გუნდის კაპიტანია, გუნდისა, რომელმაც ამ შეჯიბრებაში დაწესებული პრიზი დაიხსნა.

ახლა კი ირა ნოვიკაიას გააცნობთ. ეს 12 წლის გოგონა თბილისის 82-ე სკოლის მეექვსეკლასელი მოსწავლეა და „განათავას“ წევრს გახლავთ. ეს



1968 წელს უბის წიგნაკში შემდეგი ჩანაწერი გამოკეთდა: „... თბილისში 37 მეორეთანრიგისანი მომზადდა, იგივე მდგომარეობაა მოზარდთა თანრიგის სპორტსმენთა მომზადების ცხრილში. ბავშვთა (I) ჯგუფები შეამცირეს (ცენტრალური ტანვარჯიშის სკოლა — 3 ჯგუფი, ლენინის რაიონი — 1 ჯგუფი). თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშის სკოლის აღსაზრდელები რეინიცულთა სახლში ერთ პატარა დარბაზში ვარჯიშობენ და აკრობატიკაში მწვრთნელიც კი არ ჰყავთ, ჯგუფში 4 სპორტის ოსტატია, დანარჩენებს კი მხოლოდ მოზარდთა თანრიგი აქვთ; პიონერთა სასახლეში სპორტულ მუშაობას „გამაგანალაბებელ“ მხატვრულ მამებს ამჯობინებენ“...

მას შემდეგ 2 წელი გავიდა. რაიონებში ახალი ჯგუფები გაიხსნა. მათგან ალბათ ოთხ წელიწადში ჩავიბარებთ ანგარიშს. წლებადილ საქალაქო შეჯიბრებაში 18 წლის სპორტსმენთაგან მხოლოდ 8 კერესელიძე გამოვიდა. ესე იგი, აქ რეზერვი არ არის. ახლა პირველთანრიგისნები? სხვათა შორის, ამ თანრიგის 8 სპორტსმენიდან შესაბამისი ნორმატივი მხოლოდ ოთხმა დამტკიცა. ამასთან ზოგს, „ხელიც შეუწყვიტა“. ეს კი დაუმეგობრებია სპორტში. იქნებ ამავე მიზეზით იყო, რომ 23 მეორეთანრიგისნიდან შესაბამისი ნორმატივი 21 სპორტსმენმა შეასრულა. იქნებ მსაჯები ზომამზე მეტად უშუაპითილი აღმოჩნდნენ?

ამას წინათ თბილისელი მოსწავლეები ქუთაისში იყვნენ მოზარდთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში სასპორტო და წაადგეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქალაქის გუნდი ძირითადად ფიზიკულურის ინსტიტუტის მსწავლეების, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნ. სალუქვაძის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. დანარჩენმა მწვრთნელებმა ნაკრებ გუნდს წევრები ვერ მოუშაადეს, არც დაინტერესებულან თბილისის მოსწავლეთა შედეგებით. ბავშვთა სპორტში გამეფებული ამ გულგრილობის გამო საერთოდ ჩვენი მხატვრული ტანვარჯიში ზარალიობს. ამის შედეგია ჩვენი ტრადიციული ბოლო ადგილები საკავშირო შეჯიბრებებში, მსაჯების გასაჭირი ადგილობრივ ტურნირებში. სელოფასი კი მანინე იხარჯება...

3. ბუკია.

ს ლ რ ა თ ე ბ ე: გამოდის თ. მიქაძე; მეორეთანრიგისანთა შორის გამარჯვებულნი (მარცხნიდან) — ა. კნიაზევა (III ადგილი), ა. ბაზირაშვილი (I ადგილი) და კ. ჩიჩუა (II ადგილი).



„ზარია ვოსტოკას“ პრიზები

- 1966 წ.**
1. უნგრეთი, 2. იუგოსლავია, 3. სსრ კავშირი, 4. საქართველო.
- 1967 წ.**
1. უნგრეთი, 2. იუგოსლავია, 3. სსრ კავშირი, 4. ჩეხოსლოვაკია, 5. პოლონეთი, 6. საქართველო.
- 1968 წ.**
1. სსრ კავშირი, 2. პოლონეთი, 3. საქართველო, 4. გერმ. 5. უნგრეთი, 6. ბულგარეთი.
- 1969 წ.**
1. სსრ კავშირი, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. სსრ კავშირი (ოლიმპიური), 4. საქართველო.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ხელბურთელთა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ვახუშტი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ გერმანია, ისლანდია, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის, საქართველოსა და სსრ კავშირის (ახალგაზრდული და მოზარდული) ნაკრები გუნდები. 8 გუნდი დაყოფილია ორ ქვეჯგუფად: I — გერმანია, იუგოსლავია, უკრაინა და სსრ კავშირი. II — ისლანდია, ჩეხოსლოვაკია, საქართველო და სსრ კავშირი (ახალგაზრდული). საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანია და ისლანდიის ძლიერი გუნდები ამ ტრადიციული ტურნირის დებიუტანტები არიან. ქვეჯგუფებში გამარჯვებულები გაითამაშებენ I ადგილს ასე განაწილებენ დანარჩენი ადგილები.

ვახუშტი „ზარია ვოსტოკას“ პრიზის გათამაშებას, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ტურნირი, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულია ერთგული ნაკრები გუნდების ოფიციალურ შეჯიბრებად. წლებადილ შეჯიბრება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მან მონაწილე გუნდების სარეგორდო რაოდენობა მიიზიდა.

გარდა მთავარი პრიზისა დაწესებულია რამდენიმე სპეციალური ჯილდოც. ამ პრიზებისთვის ბრძოლაც საინტერესო სახამაშობას გვიპრდებს.

- გთავაზობთ დღევანდელ კალენდარს.
- 16.00. იუგოსლავია — უკრაინა.
- 17.20. ჩეხოსლოვაკია — ისლანდია.
- 18.50. შეჯიბრების გახსნა.
- 19.10. სსრ კავშირი — გერმ.
- 20.80. სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — საქართველო.

ლარსანი ლაქარბულს ინაზღაურებს

პალმა დე მალიორკის საზონათორის ტურნირი. მდგომარეობა 20 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 18,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ბ. ლარსენი (დანია) — 18 ქულა, ე. გელერი (სსრ კავშირი) — 12,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ულმანი (გერმ) — 12, რ. ჰიუბნერი (გერმ) — 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. მეკინგი (ბრაზილია) — 11,5, მ. ტამანოვი (სსრ კავშირი), ლ. პარტიში (უნგრეთი) — 11-11 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 11 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ფინიში ლარსენი, დიდი ენერჯით უტევს მეტოქეებს. XX ტურში მან მეტივე სძლია. საინტერესოა, რომ ბოლო სუთ შეხვედრაში დანიელმა დიდოსტატმა 4,5 ქულა მოაგროვა. ძლიერი მეტოქეებიდან ფინიში მას მხოლოდ პორტიში შემორჩა. რა ლქმა უნდა, ე. ჰიუბნერი (კუბა) და უ. რუბინეტი (არგენტინა), რომელთაც ლარსენი ორ დასჯებით ტურში ხვდება, მას ვერ გაუტოლდებიან. როგორც ჩანს, ლარსენიც მოხვდება პრეტენდენტთა რეზერვში.

ფიშერი პირველი ადგილისთვის განაჯობს ბრძოლას. მისი წინსვლა გერც კანადელმა ტ. სათლმა შეაჩერა. ამერიკელმა დიდოსტატმა კიდევ ერთი, უკვე მეათე მოგება ჩაიწერა აქტივში.

ფინიშის სტარტზე წაფორსილებამ,

როგორც ჩანს, გული ვერ გაუტანს ულმანს, რომელიც კვლავ ოცნებობს მეტოქეულში მოხვედრაზე. ამიტომ მან დიდი ძალით ითამაშა ვ. ჰორტან (ჩეხოსლოვაკია) და გამარჯვა კიდევ.

ყამით დასრულდა ე. ივკოვ (იუგოსლავია) — თ. პანოს (არგენტინა) შეხვედრა. ვ. სმილოვა (სსრ კავშირი) მოუგო ტ. უიტმენს (მონტენეგო).

მეკინგი და სათლნი XIX ტურიდან გადადებულ პარტიაში თამაშის განუახლებლად ყაიმე შეთანხმდნენ.

დაუმთავრებელი დარჩა ლ. პოლუ-გავსკის (სსრ კავშირი) — მ. მატულოვიჩის (იუგოსლავია), გელერ — ს. რეშევისკის (აშშ), დ. მიჩიჩ (იუგოსლავია) — გლიგორიჩის, ხიბენეს — უ. აღისონის (აშშ), რუბინეტი — პიუტინის, ტამანოვ — მ. ფილიპის (ჩეხოსლოვაკია), პორტიში — ს. ნარანიას (ფილიპინები) შეხვედრები.

პალმა დე მალიორკის ტალღაზე

რატომ არ ითამაშა ნაილორავა?

როგორც ცნობილია, მ. ნაილორავს (არგენტინა) საზონათორის ტურნირში უნდა ეთამაშა. დეაწლმოსილმა დიდოსტატმა თავისი ადგილი ახალგაზრდა თანამემამულეს უ. რუბინეტის დაუთმო.

საქმე ისაა, რომ ტურნირის მისი ქალიშვილის ქორწილი დაემთავა. ოჯახისთვის ამ მნიშვნელოვან დღეს უბერული იყო უკროპაში, ისიც დიდი ხნით გაგზავრება.

ფიშერის კატრიოტიზმის ფასი

გაზეთებმა გაახშიანეს, რად დირებულა ფიშერის პატრიოტიზმი. ალბათ გასსოთ, ტურნირის წინ ამერიკელმა დიდოსტატმა ვანაცხადა, რომ მალიორკაში სათამაშოდ პატრიოტიზმის გრძნობამ ჩამოიყვანა. სინამდვილეში საქმე ასე ყოფილა: საზონათორის ტურნირში მონაწილეობისთვის აშშ-ს ტადრავის ფედერაცია ფიშერს 15 ათას დო-

ლარს უხდის. დიდი გასამრჯელო ეძლევა მის მწვრთნელს დიდოსტატს. ევანსს. დიდოსტატმა პ. ბენკომ, რომელმაც ტურნირში ფიშერს ადგილი დაუთმო, სამაგიეროდ 3500 დოლარი და სელუსაიანი შეგებულება მიიღო. გამთინავარინეს, რომ ფიშერის პატრიოტიზმი ტადრავის ამერიკელ მესვეურთა 25 ათასი დოლარი დაუჯდათ.

ლიდერი პრეზვილია

რიმა, 8 დეკემბერი. სსრ კავშირის ვაჟთა 38-ე საკადრაკო ჩემპიონატის VIII ტურში მ. პოლუგავსმა (ოდესა) ცაიტნოტში მოუგო თ. მოსივეს (მოსკოვი) და ლიდერთა ჯგუფში მოხდა. ვ. ტუქაიკოვა (ოდესა) ყამით დამთავრა შეხვედრა ა. გიპსლისთან (რევა). ვეტერანმა ვ. მიკენასმა (ვილნიუსი) სძლია ვ. დროშევიჩს (გრონო).

დასაჯებით დამთავრდა შეხვედრები: ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ვ. აბტოშინი (მოსკოვის ოლქი), რ. ვაგანიანი (ერევანი) — რ. სოლომოვი (მოსკოვი), ლ. შტეინი (კიევი) — თ. დემენტევი (კალინინგრადი) და ი. ზაიცევი (მოსკოვი) — ვ. სავონი (ხარკოვი).

სხვა პარტიები გადაიდო. ვ. კორნოსი (ლენინგრადი) ვ. ლიბერზონთან (მოსკოვი) მატერიალური უპირატესობა რჩება, ხოლო ა. კარპოვის (ლენინგრადი) ი. ბალაშოვთან (მოსკოვი) და ვ. კარასიოვის (ლენინგრადი) ი. პლატონოვთან უფრო პერსპექტიული პოზიცია აქვთ.

სხაქვი კახევი

● მოსკოვი, 7 დეკემბერი. ვახუშტი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე პოკეისტთა საერთაშორისო ტურნირმა ხეირიანად ვერც მოასწრო სტარტი აედო, რომ პირველი სენსაციაც იქნა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა — შვეიცარიის სპორტსმენებმა წაადგეს პოლონელ პოკეისტებთან — 3:4.

● ბენეა, 7 დეკემბერი. აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა ამანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ „სამპდორიასთან“. გამარჯვებს მასპინძლებმა — 1:0.

● ვანა (ფინეთი), 7 დეკემბერი. ფინეთისა და შვეიცარიის ქაბუკ პოკეისტთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში იმარჯვებს ფინელებმა — 6:1.

● აშხაბადი, 7 დეკემბერი. მართონელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 182 სპორტსმენი. დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიბინა სპორტის ოსტატმა ნ. გორდინმა (ნიენი ტაგილი) — 2:20.5.0.

● ლიეპაი, 7 დეკემბერი. რუსულ შაშვი სკაევირო ჩემპიონატში უკვე გათამაშდა 6 ტური. გათამაშებას 4 ქულით ლიდერობს გორაკელი ი. კუზოუკოვი. მას 0,5 ქულით ჩამორჩებიან ბაქოელი დიდოსტატები ვ. გაბრიელიანი, ი. არუსტამოვი და ი. კუსტარიოვი (ლენინგრადი).

● ავსტრია, 19,5 ათასი კრივის მოყვარულთა დანსწრო. ბრძოლა მსაჯებმა მე-15 რაუნდის 57-ე წამზე შეწყვიტეს და კასიუს კლეის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭეს.

ყამით დამთავრდა გიპსლის — შტეინის, ავტობას — ლიბერზონის, სოლომოვი — მიკენასის, სავონ — ვაგანიანის, მოსივე — ბაგიროვისა და ბალაშოვი — პოლუგავსის შეხვედრები.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა სუთიულში არიან: ვ. ტუქაიკოვი — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. პოლუგავსი — 6, ა. გიპსლისი — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. შტეინი და ვ. ბაგიროვი — 5,5-5,5.

კასიუს კლეიმ კვლავ გაიმარჯვა

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. რინგზე დაბრუნების შემდეგ, ზანგმა პროფესიულმა მოკრივემ კასიუს კლეიმ მეორე შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე იყო არგენტინელი ოსკარ ბონავენა. შეხვედრას, რომელიც ნიუ-იორკის „მიდი-სონ სკვერ გარდენის“ დარბაზში

ჩატარდა, 19,5 ათასი კრივის მოყვარულთა დანსწრო. ბრძოლა მსაჯებმა მე-15 რაუნდის 57-ე წამზე შეწყვიტეს და კასიუს კლეის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭეს.

ამ წარმატების შემდეგ კლეიმ უფლება მოიპოვა შეებრძოლოს

მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში, ჯო ფრეტერს. როგორც ვარაუდობენ, მატჩი გაიმართება მომავალი წლის დასაწყისში. პროფესიულ რინგზე კლეიმ 81 ბრძოლა ჩაატარა; ყველა მოიგო, აქედან 25 ნოკაუტით.

ტანკარაში უნატო უკოლოდ? ქრონული მიჯნოთაა

დასასრული

ვე დამოუკიდებლობას ირენს: „მერე რა, რომ გუშინ გვიან დავიძინე.“ კინოში ვეღარ წავიდე? თუნდაც ბიჭთან ერთად. რა მოხდა მერე?”

დაიბ, გოგონა იზრდება. მწვრთნელმა მას ბევრი რამ ასწავლა და ასობა მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, თუნდაც სულ პატარა გამოცდილების საფუძველზე, მოწაფეს საკუთარი შესწავლებები გაუზრდა. თუმცა მას, ღმერთმანი, ისევე ძველებურად უყვარს თავისი მწვრთნელი, ისევე ძველებურად აფასებს მას, მისი მხარული იქნება, თუ მასწავლებელი მუდამ მართებული აღმოჩნდება. ყველაზე ძვირად მართებული აღმოჩნდება. ყველაზე ძვირად მართებული აღმოჩნდება. ყველაზე ძვირად მართებული აღმოჩნდება. ყველაზე ძვირად მართებული აღმოჩნდება.

დაიბ, პატარა გოგონა იგი მისმა ხელმა შექმნა, მწვრთნელმა გამოიქრწა ასეთი ლამაზი და ძლიერი. რა იქნებოდა ეს გოგონა, მწვრთნელი რომ არა? დღემდე იგი მხოლოდ იმიტომ იმარჯვებდა, რომ ყველაფერი უსიტყვოდ მასწავლებელს ემორჩილებოდა. რა უფლება აქვს ამდენი მსჯელობისა? რა უფლება აქვს ბიჭთან პაემნის გულისთვის სასწრაფო შეკადრის წვრთნის ბედი, ასპარეზობის ბედი? საერთოდ, ვინ მისცა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება, როცა მწვრთნელმა შთაბერა სიცოცხლე?

- ხმა გაკმინდე!
 - არ გავრუდები!
 - გაუთრიე დარბაზიდან!
 - წავალ, იცოდეთ, სულ წავალ!
- მართლა რომ წავიდეს, რა ქნას

მწვრთნელმა? წოდება და სახელი მან მოწაფის წარმატების წყალობით მოიპოვა და გოგონამ ეს მშვენივრად იცის. დასწყველოს ღმერთმა...

აი, სადამდე, რა მორალურ პრობლემებამდე მიიყვანა არა მარტო ჩემი, არამედ მსოფლიო ქალთა ტანვარჯიში მისი „აკრობატიკის“ წმინდად სპორტულმა პროცესმა. მაგრამ, მე ვფიქრობ, ეს პროცესი, შეიძლება აუცილებელი, ოღონდ დროებითი მოვლენაა. ეს ურდის სენია. საბოლოო ანგარიშში ასალი ნიუანსებით გამომდინარე ტანვარჯიში მთავარ ღოზუნგად კვლავ დაასახელებს არტისტულობას, სილამაზეს, ოსტატობის სულს, — თვისებებს, რომელთა გამოვლენისთვისაც საჭიროა გამოცდილება, სიმწიფე — ფიზიკური და სულიერი. ბავშვები კი მუდამ ბავშვებიად დარჩებიან.

მწვრთნელია. დანაშაული, უფრო უსუსტად, ჩემი საერთო უბედურება ისაა, რომ პროფესიონალ მწვრთნელთა შორის ძალიან ცოტაა ნამდვილი პედაგოგი. მწვრთნელობა პროფესიაა, პედაგოგობა — ბუნებით მომადლებული ნიჭი. რა ადვილია მასწავლებელს გაყვითლის გადაცემა ასწავლო, მაგრამ რა ძნელია ადამიანის აღზრდა იცოდეს! ფიზიკულტურის ინსტიტუტებში კი ბირველ ყოვლისა წვრთნას ასწავლიან...

ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ მსობრტის „გაანალგანრდავების“ დროს, მწვავედ იმ სახეობებში, სადაც სპორტსმენები ადრე იწყებენ წვრთნას და ადრევე აღწევენ წარმატებას. ტანვარჯიში ერთ-ერთი ამ სახეობათაგანია.

ალბათ უკვე მიხვდით, რომ უკ

მონათქვამიდან ზოგიერთი რამ კუჩინსკაიასა და რეისონსაც ეხება, თუმცა, რასაკვირველია, ყველაფრის მხოლოდ ასე ასსნა არ შეიძლება...

მე არ დავიწყებდი მტკიცებას, რომ ნატაშა კუჩინსკაია დიდი ტანვარჯიში იყო, თუ ამ სიტყვაში — „ტანვარჯიში“ — ბირველ ყოვლისა საკუთარი სხეულის უნაკლოდ ფლობის უნარს ვგულისხმებდით. მას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზები. ნატაშას არ შეეძლო და ვერც აკეთებდა ბევრ რამეს, რაც შეეძლოთ და რასაც აკეთებდნენ ლატინინა, ასტახოვა, ჩაბლაფსკა.

მამ, რით აისხნება კუჩინსკაიას ტემპირატად საყოველთაო აღიარება? მე მეხიჯობი არ ვყოფილვარ და მხოლოდ გასუთიდან ვიცი, რომ იქაური მამურებლები ნატაშას თითქმის ხელისუფლებზე ატარებდნენ. იქ ნატაშას „მეცხვოს პატარძალს“ ეძახდნენ და მის ირგვლივ აუწყრელი ავირტაჟი სუფევდა. სამაგიეროდ, მე ვიყავი დორტმუნდში, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. შემიძლია დავარწმუნოთ, რომ ნატაშას ფართოდ გახვლილი, ლამაზი თვალების მზერა ასევე ატყვევებდა სოლიდურ დასავლეთურ მანერულ მამურებს, რომელიც დიდად განსხვავდება მექსიკელი მამურებისგან ტემპირატებითაც და განცდის სიმძლავრითაც.

იგი ხაოცარი ადამიანია. ტანადი, ნაზი, ნათელი, მშფოთვარი, ვეხალტირებული, დრამატული გახვიადების მოყვარული ნატაშა სხვა ვითარებაში ალბათ დიდი ტრაგიკოსი მსახიობი იქნებოდა (ოცნობის კიდევ მსახიობის სახელზე). ნატაშას ჰქონდა იშვიათი ნიჭი, რომ ეს ყველაფერი, მთელი თავისი არსება, ფიცრნაგზე შესრულებულ ყოველ მოძრაობაში გამოეხატა. ტრიბუნებს მისგან რაღაც მძლავრი შინაგანი ძალა გადაეცემოდა. „ურუნტელი მივლის. მთელი მისი არსება თითქოს ანათებს“, — მითხრა ნატაშაზე ერთმა ჩემმა წაცნობმა ტანვარჯიშემა, რომელსაც სენტიმენტალურ კაცად არ იცნობენ.

ასლა კი თავად განსაჯეთ. ნატაშა თხუთმეტი წლიდან გამოდის ქვეყნის ნაკრებში. თქვენთვის წლიდან იგი

უკვე გუნდას ბირველი ნომერია. რა ნერვებს უნდა გაეძლო ამ პატარა გონასთვის, რომელმაც ჯერ თავის გაფრთხილება არ იცოდა? შედიხედ ხუთი წლის მანძილზე მის წინაშე იდგა ერთი ამოცანა — გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება. იგი იწვოდა, სანამ შეეძლო. სპორტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის მოწოდებით, მექსიკის ოლიმპიადის წინ კუჩინსკაიას ნერვული სისტემა ისევე გადაღლილი იყო, როგორც ვეგენი გრიშინისა გრენბოლის წინ. არ დაგავიწყდეთ, რომ გრიშინი მაშინ 38 წლისა იყო და აქედან 20 წელი დიდ სპორტში ჰქონდა გატარებული.

და ისევე ეხება თუ არა ყოველივე შემთხვეული მხოლოდ ნატაშას? სამეცხვაროდ, არა. მორალური გადაღლა ცოტად თუ ბევრად ყველა მისი თანაგუნდელის, ნაკრების ყველა წევრის ხვედრია. მაგალითად, ლარისა პეტრიკი ერთხელ გამოიტყდა, რომ ასლა გაცილებით უფრო უჭირს თავის თავში იმ შთაგონების, იმ სულიერი აღმადრენის გაღვივება, რამაც მას ტანვარჯიშში სახელი გაუთქვა და თავისუფალ ვარჯიშში ოლიმპიური ჩემპიონობა მოუპოვა. ოლია კარასიოვამ ერთ-ერთი დიდი ტურნირის დაწყებამდე მოთელვის დროს მის ირგვლივ მოფუსფუსე ნორჩ სპორტსმენებს მითხრა: მათს გვერდით თავი ბებერი მგონიოთ. ამ ნორჩ ტანვარჯიშეებს ბირობით ბუროდას თაობა შეიძლება ვუწოდოთ (ბუროდა უკვე (!) სსრ კავშირის ორჯონ ჩემპიონია), მაგრამ მე არ მინდა ვილაპარაკო არც 17 წლის ლიუბაზე, არც მის თანატოლ თუ უმცროს ტანვარჯიშეებზე. მათ შორის ბევრი კარგი, ნიჭიერი სპორტსმენია. ისინი ალბათ 1972 წლის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდებიან, მაგრამ, ჩემი აზრით (ნეტავ ვცდებოდე!), კუჩინსკაიას ან პეტრიკის მსგავსი თვალისმომჭრელი ტალანტი ჯერჯერობით ამ თაობას არ ჰყავს.

... რეისონს ელემ კლიმოვის ახალ ფილმში „სპორტი! სპორტი! სპორტი!“ შეტანილია პატარა ჩანართი ნოველა უტკჰსტოდ. უბრალოდ, მონატყით და-

ბირსპირებულია მშვენიერი ქალების სახეები ალბრძინების ოსტატთა ტილოებიდან და ტანვარჯიშის ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა გოგონას საოცარი, შთაგონებული სახე. გოგონას ხელში ფართოდ გაუშლია და ხალჩაზე გამოდის. შემდეგ ერთი წამით ეგრანზე ჩნდება სალვადორ დამის დისპარმონილი, მახინჯი, ბირქუსში სამყარო. შემდეგ ჯოჯობდას ღიმილი, ისევე — თანამედროვე გოგონას გაცისკრებულნი სახე, როგორც პარმონის, სიკეთისა და სილამაზის სიმბოლო.


ფილმში გოგონას გვარი დასახელებული არ არის, მაგრამ მე მას ვიცნობ. ეს გოგონა ნინა დროსოვაა. იგი 12 წლისაა, თბილისში ცხოვრობს. ოდნევეც არ გადაგაპარებ, თუ ვიტყვი, რომ ეს გოგონა უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ტანვარჯიშში, ტანვარჯიშის მოცარტია, თუ გნებავთ.

მანსოვს, ერთხელ იგი სპორტული დარბაზის წინ დერეფანში იდგა და რაღაც პატარა კოლოფი ჩაებდუჯა. — რისი კოლოფია? — გვითხე მე. — სუნამოსი. — სუნამო რა უყავი? — შინ დავტოვე. კოლოფი უფრო მიმწონს.

გვეგონება ჩუკოვსკის წიგნის გმირი გაცოცხლდეთ, არა? დაიბ, ნინა სულ ბავშვია. მაგრამ მისი შესაძლებლობები უჩვეულოა. იგი ელვის სისწრაფით „იჭერს“ და ითვისებს ისეთი ელემენტების ტექნიკას, რომელიც უფროსები-სთვისაც ძნელი მისაწვდომია. რაც შთაგონა, ამ თორმეტი წლის გოგონას უკვე შეუძლია მუსიკით ცხოვრება, მუსიკის ისე განცემა და აყოლა, როგორც ალბათ, ნატაშას და, საერთოდ, ცოტა ვინმეს თუ შესძლებია.

როგორ მოვექცეთ ამ გოგონას, როგორ დავიცვათ იგი სხეულისა და სულის ტრავმებისგან? რა ვიღონოთ, რომ ტალანტი თავის დროზე მომწიფდეს, ყველიობის დროს აყვავდეს და უდროოდ არ დაქნეს?..

ს. ტოპარაშვილი.
„იუნოსტა“, 1970 წ.; № 10.



6. დროსოვა.

ა. სააკოვის ფოტო.

ეპლეის სრული კოეკლექტი ბანანილდა

1970

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

მიჩნება, 7 დეკემბერი. იტალიის ამ ქალაქში სტუმრად იყვნენ მოსკოვის „სპორტაკის“ ფეხბურთელები. მათ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ადგილობრივ „ლანეროსისთან“ და ფურს დასჯერდნენ — 2:2. საბჭოთა სპორტსმენებიდან ბურთები გაიტანეს ბულგარელებმა და ჰუსანიოვმა.

უაბანდუშო, 7 დეკემბერი. ზემო ვოლტაში ორი შეხვედრა ჰქონდათ დონის როსტოვის არმიულ ფეხბურთელებს. ბობო-დიულასოს ნაკრებ გუნდთან შეხვედრაში მათ გაიმარჯვეს (4:3). ხოლო ქვეყნის დედაქალაქში ადლოსავლეითის ლიგის ნაკრებთან დამარცხდნენ — 1:2.

პენს-აბაშა, 7 დეკემბერი. გორომილოვრადის „სარას“ გუნდი აქ ეთამაშა შობის პროტინციის ნაკრებს და დამარცხდა — 0:1.

შეჯიბრებას ამას ჰქვია!

ამ ათიოდე წლის წინათ 500 კგ-იან ზღვარს ერთ შეჯიბრებაში თითოთოროლა სპორტსმენი თუ გადალახავდა, ასეთ ასპარეზობას საერთაშორისო კლასისას უწოდებდნენ. მაგრამ მას შემდეგ ძალოსნობამ მძლავრი ნაბიჯებით წაიწია წინ და დღეს უკვე აღარავს უკვირს ასეთი მაჩვენებლები.

მაგრამ, როცა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 13 ათლეტი გადააჭარბებს 500 კგ-ს, ეს უკვე სპორტსმენთა მაღალ კლასზე მეტყველებს. მეტყველებს იმაზე, რომ ძალოსნობა ამ რესპუბლიკაში უყვართ და სათანადო პატივს სცემენ კიდევ. სხვას ვერაფერს იტყვი უკრაინის ჩემპიონატზე, რომელიც ამას წინათ დამთავრდა ზაპოროჟიში.

გორომილოვრადელი ზემშიმე წლის ძალოსანი გ. დიჩენკო ჯერ კიდევ ამ ექვსიოდე წლის წინათ აჩვენებდა 500 კგ-ს. მაგრამ შემდეგ ათლეტი როგორღაც გაიყინა და საკავშირო სარბილზე მისი შედეგები გაუფრუღდა. ამჯერად კი დიჩენკომ ბრწყინვალე მომზადება გამოავლინა და შემძინე წლის ათლეტთა შეჯიბრება მოიგო შესანიშნავი შედეგით — 570 კგ! მაგრამ რე ვიფიქრებთ, თითქმის დიჩენკომ იოლად გამარჯვა. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ დონეცკელი ათლეტები ნ. კოზინცივი (562,5 კგ) და ვ. ეფრემოვი (545 კგ), რომლებმაც შესაბამისად 11 და 11 ადგილები მოიხვეჭეს.

რამდენიმე ხნის წინათ ვოროშილოვრადელებმა, მძიმე წლის ათლეტებმა ი. იაბლონოვსკიმ და ი. ონიშჩუკომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შესრულეს. ასლა მათი დავა ჩემპიონისთვის ბირველის გამარჯვებით დამთავრდა. იაბლონოვსკიმ

545 კგ აჩვენა. ონიშჩუკო მას 5 კგ-ით ჩამორჩა. „500-იანთა კლუბის“ წევრი გახდა ვინიცელი ვ. კადულინი — 512,5 კგ.

დანარჩენ წინით კატეგორიებში უკრაინის ჩემპიონები არიან: უჩრატესი — ა. განატოვი (ლეოვი) — 307,5, მჩატე — ი. მოვილენი (ხარკოვი) — 315, ქვეშეშეუტი — ნ. ვარაგა — 377,5, მუსუბუტი — ვ. მისაილოვი (ორივი) — გორომილოვრადი) — 415, ქვეშაშეუალი — ნ. ბაშმაკოვი (დონეცკი) — 442,5, საშუალო — ბ. პავლოვი (ხარკოვი) — 475, ქვეშიმე — ა. კიდობევი (ვოროშილოვრადი) — 505.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარაძე.